მწყემსი

ამ ჟამად მუუკმსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 10 **1883—1893** **15—30 მაისს**

რა მიზეზია, რომ საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიაში არ ეოფილან ბ არც არიან მწვალებლები? (сектанты)

უნებლიეთ გეხატება გონებაში ასეთი კითხვა, როცა თვალს გადაავლებ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა სხვაგან და წარმოიდგენ იმ სხვადა-სხვა მწვალებელთა, რომელნიც ბლომათ მოიპოვებიან მართლ-მადიდებელ ერთა შორის. გასაკვირი კიდევ უფრო ის არის, რომ მწვალებელნი იქ უფრო ბევრნი არიან, სადაც ხალხი, ერთის შეხედვით, უფრო მორწმუნე ბ ღვთის მოუკვარე გგონია. ძლიერ ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მწვალებელნი ვითომ რაიმე სარგებლობის მიხედვით შორდებიან მართლ-მადიდებელ ეკლესიას. ჩვენის აზრით მწვალებელნი იმიტომ შორდებიან მართლ-მადიდებელ ეკლესიას, რომ უფრო მტკიცეთ და კრძალვით ემსახურონ ღმერთსა. და თუ ისინი სცდებიან და მრუდე გზას ირჩევენ თავის მიზნის მისაღწევად, ეს წარმოსდგება მათი გაუნათლებლობისა და გაუგებლობისაგან.

ზოგნი ფიქრობენ, რომ მწვალებელნი მრავლდებიან იმ ხალხში, რომელსაც აქვს ფილოსოფიური, ცნობის მოუკვარე და გამომცდელი გონება. ბ სადაც ეს მწვალებლები არ არიან, იქ, ზოგი ვაქბატონების აზრით, სუფევს სარწმუნოებრივი გულგრილობა და გონებითაც ხალხი დაქვეითებულია. ზოგნი იმასაც ფიქრობენ, ვითომც მწვალებლები და მწვალებლობა ფეხს ვერ იკიდებს იმ ხალხში, რომელიც მოკლებულია სრულს თავისუფლებას, მოკლებულია თავის არსებობაზე

ზრუნვას. ასეთი ხალხი შემჩერეა მხოლოდ თავის სარწმუნოებისა, რომელიც მიაჩნია ძლიერ ბურჯად ცხოვრების გასაგრძელებლად წამში და ამიტომ იგი ყოველი ღონისძიებით ცდილობს, რომ თავისი სარწმუნოება მაინც დაიცვას შეურყევლად.

ვსთქვათ, რომ მწვალებელნი ჩნდებიან იმ ხალხში, რომელსაც აქვს ფილოსოფიური და გამომცდელი გონება. მაგრამ მწვალებელთა სწავლა-მოძღვრებაში არავითარიმე ფილოსოფიური მსჯელობა და აზროვნობა არა სჩანს, პირიქით მათი სწავლა მოძღვრება სრულებით მოკლებულია ყოველივე კეთილ გონიერებას და აზროვნობას. მათი მოძღვრება მოკლებულია უკანასკნელს ცხოველურ ინსტიკტსაც კი თავის თავის დაცვის შესახებ. განა რაიმე გონება და აზრი აქვსთ ხოჯებს (скопцы), მორბენალთა (скакуны) ქრისტეს მძებნელთა (хлысты) და სხვათა? აგრეთვე არც მეორე მოსაზრებაა მართალი. მართალია, როცა მართლ-მადიდებელ ხალხს იმორჩილებენ და იმონებენ სხვა აღმსარებელნი, მაშინ ეს დამორჩილებული მართლ-მადიდებელნი ცდილობენ, რომ თავისი სარწმუნოება მაინც მტკიცედ და შეუცვლელად დაიცვან და ამ სარწმუნოებაში-და ხედვენ თავის თვით-არსებობას და თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს ბევრ შემთხვევას ვხედავთ, რომ ის ხალხი, რომელიც სარგებლობს სრული ხალხოსნური თავისუფლებით საუკუნოებით მტკიცედ და შეურყევლად აღიარებს თავის სარწმუნოებას და არც კი იცის, რა არის მწვალებლობა და მწვალებელნი.

საქართველოს მართლ-მადიდებელმა ეკლესიამ, ღვთის მადლით, ისე განვლო თხუთმეტი საუკუნე, რომ არც კი იცის, რა არის მწვალებლობა. თუმცა საქართველო მრავალი საუკუნოების განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა სხვა აღმსარებელთა, რომელნიც მოწადინებულნი იყვნენ აღმოეფხვრათ ქართველებში არა მარტო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება, არამედ ხალხოსნობაც, მაგრამ ქართველები უკანასკნელ ხანამდე მამაცურად იცავდნენ როგორც სარწმუნოებას, ისე თავის ხალხოსნობას. ქართველი ერის ასეთი თავის შეწირვა სარწმუნოებისა და ხალხოსნობის დასაცავად, სწორეთ განსაცვიფრებელია ერთა ისტორიაში.

ამ ბოლო დროს ხშირად ვკითხულობთ ხოლმე გაზეთებში ზოგიერთ ცნობას იმიერ ჯ ამიერ კავკასიის მწვალებლების შესახებ. ვინც კარგად ვერ იცნობს ჩვენს ქვეყანას, იგი მართლა იფიქრებს, ვითომც კავკასია და განსაკუთრებით საქართველო ბუდე იყოს მწვალებელთა. მართლა, საქართველოში არიან ხოჯები (скопцы) მოლოკნები, დუხობორები, ბაბტისტები და სხვა მრავალნი მწვალებელნი, მაგრამ ყველა ესენი მოსულნი არიან აქ ან თავის ნებით და ან მთავრობის განკარგულებით არიან გადმოსახლებულნი. ეს მწვალებლები ასე ბლომათ იმიტომ გადმოასახლეს ჩვენს ქვეყანაში, რადგან მთავრობის აზრით იგინი ქართველებზე ზედგავლენას ვერ იქონიებდნენ. და მართლაც გასაკვირველია, რომ ამდენი ხანი ეს მწვალებლები სცხოვრებენ ქართველებ შორის, მაგრამ დღემდის მაგალითი არ ყოფილა, რომ ვინმე ქართველს მიეტოვებიოს თავისი სარწმუნოება და მიეღოს მწვალებლობა. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქართველები ამ მწვალებლებს უცქერიან ისე, როგორც გზა დაბნეულს და დაღუშულს ხალხს. ქართველი კაცი ერთის შეხედვით ურწმუნო გეგონება, რადგან არ უყვარს გამოიჩინოს ის, რაც ამტკიცებს კაცის სარწმუნოებას, მაგ. იგი ხშირად არ დაიარება ტაძარში, ბევრს არა სწირავს ტაძრის სასარგებლოდ, არ დაიარება წმ. ადგილებში სალოცავად და სხვანი, მაგრამ ვერას ღონით და შთაგონებით თქვენ მას ვერ შეარყევთ მის სარწმუნოებაზე, რომელიც გარდამოცემული აქვს მას თავის წინაპართაგან, თქვენ ვერ მოაშორებთ მას თავის საკუთარს ეკლესიას. ქართველი კაცის ასეთ თვისებას ხშირად სარწმუნოებრივი გულგრილობით ხსნიან, მაგრამ ვინც კარგად იცნობს ქართველებს, იგი ადვილათ მიხვდება, რომ ეს ისეთი გულცივობა არ არის, რომელიც შედეგია ურწმუნოებისა და უღმერთობისა. ხოლო ქართველ კაცს საზოგადოდ უყვარს თავისი გრძნობა საიდუმლოდ შეინახოს და არ ცდილობს, რომ იგი რაიმე გარეგანი ნიშნებით გამოაცხადოს. ძლიერ ძვირად შეხვდება კაცი ქართველის ოჯახში ხატს,

აქედგან შეიძლება ვინმემ კიდეც იფიქროს, თითქო ქართველები თაუვანს არა სცემდენ ხატსა. მაგრამ განა ეს ასეა? ქართველს თუ ხატი არ უკიდია ოჯახში, ამის მიზეზი ის არის, რომ იგი ძლიერ დიდ პატივსა სცემს წმ. ხატებს და ვერა ბედავს იგი იქონიოს იმ სახლში, სადაც თვითონ ცხოვრობს. რასაკვირველია ნაკლულევანება არის, როცა კაცი თავის სარწმუნოებას არ აცხადებს გარეგანი ნიშნებით, მაგრამ ეს უფრო მისატევებელია, ვინემ ფარისევლობა, რომელიც წინააღმდეგია ქრისტეს სწავლისა...

თუ საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიაში არ ყოფილან და არც არიან მწვალებელნი, ამის მიზეზია საქართველოს სამღვდელოების განსაკუთრებული დამოკიდებულება სამწყსოსთან. ჩვენი სამღვდელოება ძლიერ ახლოს სდგას თავის სამწყსოსთან; ჩვენს სამღვდელოებასა და სამწყსოს შორის სწორეთ მამაშვილური დამოკიდებულება არსებობს და ღმერთმა ინებოს, რომ ესეთი დამოკიდებულება არ გაწყვეტილიყოს მათ შორის შემდეგშიაც. სრული იმედიც არის, რომ, თუ ესრეთი ძველი დამოკიდებულება სამღვდელოებასა და სამწყსოს შორის არ მოიშალა, არასოდეს ჩვენში მწვალებლობას და მწვალებელთ ნიადაგი არ ექნებ-თ...

დეკ. დ. ღამბაშიძე

წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში.

ანაკოპია, ქართლის მატიანეთა მოთხრობით, დაუარსებიათ ბერძნებს ქრისტეს დაბადებამდე. რომ ეს მხარე ერთ დროს იმყოფებოდა რომის იმპერიის მფლობელობაში, ამას მოწმობს ერთი აქაური გურის ციხის ნანგრევები, რომელნიც დღესაც იპყრობენ მოგზაურთა ყურადღებას. ეს ციხე, როგორც მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა, აშენებულა იმპერატორ ტრაიანეს დროს მე-II საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ; IV საუკუნეში ამ ციხეს იხსენიებენ იმ დროის საეკლესიო მწერალნი, რომელნიც უწოდებენ ამ ციხეს **ასპარს** ანუ **აპსარს** ე. ი. იმ მდინარის სახელს, რომელიც ამ მწერალთა მოთხრობით მდებარეობდა ქალაქ სევასტოპოლიდამ ცოტა მოშორებით (სადაც დღეს სუხუმია, ოც ვერსზედ აპსარიდამ). კონსტანტინე პორფიროგენიტი იხსენიებს ქალაქს ნიკოპსის და იმავე სახელწოდებით მდინარეს. რომ მართლა ანაკოპია ბერძნების ხელში ყოფილა, ამას ამტკიცებს ამ მხარეში დაშთენილი ტაძარი წმ. მოციქულის სიმონ კანანიტელისა; ეს ტაძარი განახლებულია კომნენების დროს (XII საუკუნეში).

როგორც მეექვსე საუკუნის ნახევარში, ისე შემდეგ საუკუნეებში ანაკოპია ყოფილა სატახტო ქალაქი აფხაზეთის გამგე ბერძენთათვის. ეს მხარე დაიპყრო იმპერატორმა იუსტინემ 550 წელში და 786 წლიდან საბერძნეთის მეფენი შეიქმნენ დამოუკიდებელნი გამგენი ამა მხარისა და იწოდებოდნენ აფხაზეთის მეფეებად. მეხუთე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრამდის ნიკოპსიას განაგებდენ საბერძნეთის მეფენი. 1130 წ. კი, როცა თბილისი იქმნა განთავისუფლებული არაბთაგან და ეს ქალაქი შეიქმნა სატახტო ქალაქად შეერთებულ საქართველოს სამეფოისა, ნიკოპსია შეადგენდა საქართველოს სამეფოის სამფლობელოის განაპირა საზღვარს დასავლეთით. აქ იყო მშვენიერი გალერეია სვეტებზე და პირი მიქცეული ჰქონდა ზღვისაკენ; ამ სვეტებიდგან ორმოცამდე კიდევ დაშთენილა მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულამდე; თათრებმა დაიფლეს ეს ქალაქი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და ჯარი ციხეში დააბინავეს. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ეს მხარე შეუერთდა სამეგრელოს.

1876 წელში ძველი ანაკოპიის ნანგრევებზე დაფუძნდა ახალი-ათონის სიმონ კანანელის მონასტერი, რომელმაც უნდა აღადგინოს აფხაზეთში მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

1882 წელში განახლებულ იქმნა ანაკოპიის ძველი ტაძარი წმ. მოციქულის სიმონ კანანელისა. ამ ტაძარში, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, არის დასაფლაებული გვამი ამავე მოციქულისა. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისში ქრისტეს სარწმუნოება მეტად დასუსტდა აფხაზეთში, განსაკუთრებით როცა პიწუნდის ღვთის-მშობლის ხატი პიწუნდიდამ გადასვენებულ იქმნა გელათის მონასტერში მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარში, მაგრამ ხალხი მაინც დიდ პატივსა სცემდა ამ ტაძარს, სადაც განისვენებდა წმ.

Литогр. Г. И. Демурова въ Тифлисѣ.

წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში.

ნაწილნი მოციქულისა. ყოველ წლობით მრავალი მლოცველი მიდიოდა ამ ტაძარში მოციქულის წმ. ნაშთთა თაყვანისაცემლად. მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ეს ტაძარი წარმოადგენდა ნანგრევებს, რასაც ამტკიცებს ა. ნ. მურავიევის აღწერილობა ამა ტაძრისა 1840 წ.

«ჩვენ გამოვედით ზღვის ნაპირას, ამბობს მურავიევი, რომ დაგვეთვალიერებია ტაძარი, რომელშიაც ხალხის სიტყვით, განისვენებს წმ. მოციქულის გვამი, მაგრამ დიდხანს ვეძებეთ ეს ტაძარი ნიკოპსიის ნანგრევებ შორის. ადგილობრივ მკვიდრთა ენა არ ვიცოდით, რომ ვინმესთვის გვეკითხა, თუ სად მდებარეობდა ეს ტაძარი. ბოლოს ვიფიქრეთ, რომ ტაძარი ალბად მთის ციხეში იქნებოდა და გავსწიეთ იქით, მაგრამ ამ დროს გამოგვეჩინდა ერთი კაცი, რომელმაც აღგვითქვა ამ ტაძრის ჩვენება და უკანვე დაგვაბრუნა. გაგვარონინა ნიკოპსიის ნანგრევები, გაგვიყვანა ქალაქის გალავანს იქით ერთ მინდორზე, რომელიც სავსე იყო ნანგრევებით და რომლის შუა იდგა მშვენიერი ტაძარი, რომელსაც ჩანგრეული ჰქონდა გუმბათი; ამ ტაძრის დასავლეთი ეგუტერი გავსილი იყო ქვებით და დაფარული მცენარეებით. სამხრეთის ეგუტერის ზემოთ კიდევ მოჩანდა მაცხოვრის ნახატი. ტაძარი აშენებულია ბიზანტიურს სტილზე. კედლები ტაძრისა მეტად თხელია და ნაშენია რომაელ ანგურისაგან. ტაძრის თაღი დაშვებულია მორჩილა სვეტებზე. მხატვრობა უკვე წაშლილა, მაგრამ დასავლეთის მხრით კედელზე კიდევ მოჩანს: მიძინება ღვთის-მშობლისა და ორი მოწამე. მოციქულის სასაფლაო არსად სჩანს. მაგრამ რადგან, ძველი ჩვეულებისამებრ, წმ. ნაწილებს ასაფლავებდნენ ტრაპეზის ქვემოთ, მე ვილოცე იმ ადგილს ზე-

წმ. მოციქულები ანდრია და სიმონ კანანელი.

მოდ, სადაც ტრაპეზი იყო». როცა ეს ტაძარი უკანასკნელად განაახლეს, იმ ადგილს, სადაც ტრაპეზია, ნახეს მანეთი ალექსი კომენის დროისა; აქედამ სჩანს, რომ უკანასკნელად ეს ტაძარი განუახლებიათ აფხაზეთ-იმერეთის მეფის დავით აღმაშენებელის მეფობის დროს (1089—1130) მეთოთხმეტე საუკუნეში. ძველი მხატვრობისაგან დარჩენილა ტაძარში: ჩრდილოეთის კედელზე განახლებული გამოხატულება წმ. მოწამისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოხატულება არის დიდი მოწამის გიორგისა, რომელიც ძლიერ ჰგავს იმ გამოხატულებას, რომელიც იმექონება ერთ სასწაულთ-მოქმედ ხატზე ათონის ზოგრაფის მონასტერში, სადაც ეს მოწამე დახატულია ზეზედ მდგომარე და არა ცხენზე მჯდომი. კედლები შეთეთრებულია. კანკელი ახალია. დასავლეთის ეგუტერზე დაშენებულია სამრეკლო. სასურველია, რომ ჩამონგრეული დერეფნები ხელახლად შეკეთდეს. ეგუტერის ჩრდილოეთის ნაწილში სჩანს სასაფლაო, რო-

მელშიაც არის რამდენიმე თაეის ქალა და ძვლები. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ამ ტაძარში, ანუ მის მახლობლად, იყო დასაფლავებული ბატონისშვილი დიმიტრი, ძმა აფხაზეთ-იმერეთის მეფის გიორგისა 1014—1027), რომელიც სასტიკად ეომებოდა თაეის ძმას ტახტისათვის და რომელიც, როგორც ვიცით, გარდაიცვალა ნიკოპსიაში. სამხრეთ შესავალ კარებში კარის ნალის მაგიერ სძევს დიდი მოგრძო ქვა (ალბად უწინდელი სასაფლაოს ფიქალი, რომელზედაც შუაგულში ამოჭრილია სიმრგვალე, რომელშიაც არის ოთხ-თაეიანი ჯვარი ჩვეულებრივი ბერძნული სიტყვებით; სიმრგვალეს გარშემო ყველა კუთხით არის სამ-სამი ბერძნული ასო. ამ ასოებით დაწერილია; ღეთისა დედაო! აცხონე წმიდა გიორგი მიტროპოლიტი ცხემსკისა (სუხუმისა). ასე იწოდებოდნენ ეპისკოპოსები, რომელთა საკათედრო ტაძრად იყო წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ეკკლესია*). ალბად ეს სასაფლაოს ქვა, ტაძრის განახლებამდე მეშვიდე საუკუნის პირველს მეოთხედში იყო დადებული ცხომის ტაძრის რომელიმე ეპისკოპოსის საფლავზედ. საკურთხეველის კედლის ერთ ქვაზე იმექონება წარწერა ბერძნულ ენაზე. ეჭვი არ არის, რომ ეს ქვაც სასაფლაოს ქვა უნდა იყოს.

ადგილი, რომელიც უჭირავს ამ ტაძარს, მეტად შვენიერია. იგი სძევს მთის ხეობის პირდაპირ, საიდგანაც მომდინარეობს მდინარე პსირტსხა. მონასტრის გარეშემო არის შვენიერი სასეირნო ადგილები. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში სდგას დიდი ხნის შტოებიანი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მოწყობილია დასაჯდომი სკამები დასასვენებლად; ტაძრის დასავლეთის კარების პირდაპირ გაკეთებულია აუზი, რომელსაც ამშვენებს ჯვარი; ჯვრის ტოტებიდამ ჩამოდის წყალი თევშებში; აქვე ჯაჭვებით არის მიბმული ლაპოტები, რომლითაც წყალსა სმენ მაურველნი. აუზის უკან მდინარის ქვემო ნაპირამდე გაშენებულია ყვავილები. ტაძრის უკან, მთაში აშენებულია სენაკი ეკკლესიის ყარაულისა და მისი თანაშემწისათვის; იმათ წინ გაკეთებულია ბოსტანი მონაზონთათვის; აღმოსავლეთით მაღლობზედ გაშენებულია ხეხილი და სხვა ხეები. მდინარის მეორე ნაპირზედ აშენებულია მონასტრის წისქვილის შენობა. დასავლეთით მთის ძირზედ გაკეთებულია სახლები მუშებისათვის. მონასტრის მნახველები და მლოცველები გაემგზავრებიან ხოლმე სასეირნოდ სიმონ-კანანიტელის ტაძრისკენ. მონასტრიდამ და ზღვიდამ გზა მიდის ერთი ვერსის მანძილზე ზღვის პირად მონასტრის ხილნარი ბაღის გვერდით, ხოლო გზის მეორე მხრით გაკეთებულია სათიბები და მონასტრის ბოსტანი. მეტად შვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ამ წმ. ადგილის დათვალიერება და მნახველს სურვილი ებადება, რომ ხელმეორედ დაათვალიეროს ეს ადგილი. ასეთ მოთხოვნილებას ჰბადებს მნახველში ისიც, რომ ამ მონასტერში თითქმის ყოველ დღეს სრულდება დილით ადრე წირვა, რომლის დროს ტაძარი სრულიად სავსეა მლოცველებით.

ეხლა აღვწეროთ ანაკოპსიის უძველესი ნაშთი მთის ციხის ნანგრევები: მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ერთი საეკკლესიო მწერალთაგანი წმიდა დოსითეოსი, ეპისკოპოსი ტირისა და მის შემდეგ ბერი წმ. ეპიფანე კიპრელი იხსენიებენ ამ ციხეს და მდინარე ასპარს სევასტოპოლის მახლობლად (დღეს სუხუმისა). ცხადია, რომ ამ მდინარის აწინდელი სახელი პსირტსხი, იგივეა რაც უწინდელი სახელი ასპარა და ამავე სახელით წოდებული ციხე იგივეა, რომლის ნანგრევები ამშვენებენ ამ ადგილის ერთი მთის წვეროს, რომელთა შუა გამოდის მდინარე პსირტსხა. ამ ციხის ნანგრევებს, განსაკუთრებით კედლებს, დღესაც ემჩნევა რომაული სამხედრო ხელოვნება; ციხის კედლები აშენებულია უბრალო, მაგრამ კარგად შეკეთებული ქვისაგან. კედელი შემოყოლებული აქვს მთის მთელ სამხრეთ მხარეს და მიქცეულია ზღვისაკენ. იმ დროს, როცა ნიკოპსიას ბერძნები ფლობდნენ, ამ ციხეს, როგორც მოწმობს კონსტანტინე ბაღრიანოროდნი, უწოდებენ ნიკოპსიას იმ ქალაქის სახელს, რომელსაც ის იფარავდა, ხოლო გეორგი კედრინი უწოდებს ამას აფხაზეთის ციხედ. ეს ციხე მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიკავეს თათრებმა და მასში დაბანაკებული ჰყავდათ ჯარები მეთერამეტე საუკუნის დამლევამდე.

*) ანაკოპია იყო კათედრა მღვდელთ-მთავართა, რომელნიც იწოდებოდენ ცხომლებად ანუ, როგორც ეხლა უწოდებთ სუხუმისად (შემდეგ ცხომის დაქცევისა მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ) აქაურს ეპისკოპოსს საქართველოს ყველა 40 ეპისკოპოსებში ეჭირა მე-25 ადგილი.

პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.

(წერილი მესამე)

ისეთი კითხვები, რომელიც მთელი კლასისადმი არის მიქცეული სწავლების დროს, ღირსია მასწავლებლის განსაკუთრებული ყურადღებისა. სამწუხაროდ ზოგი გამოუცდელი მასწავლებელი სრულიად არ მიმართავს მას, ზოგიც ვითომ სარგებლობს, მაგრამ უხერხულად, წარუმართებლად, ასე რომ ხშირად ეს ზომაც ხდება ძიზეზად საკლასო წესიერების დარღვევისა. «ვის შეუძლია პასუხის მოცემა?» — კითხავს ზოგი მასწავლებელი მოსწავლეთ, რომელნიც ერთბაშად დაიწყებენ ყვირილს და ხმაურობას, არაფრის გარჩევა არ შეიძლება — ყველა ყვირის, ვისაც როგორი პასუხი მოუვა თავში — მასწავლებელს დარდიც არ აქვს, იმას ესმის, რომ ზოგმა წამოიყვირა რაღაც საქმის მონაგვარი, ის მოხარულია და ამბობს: «დიაღ — ეს ასეა». კლასში ეშმაკი და ცელქი ყმაწვილებისათვის საზოგადო კითხვები დიდს გასართობ საგანს შეადგენს; იმათ უყვართ ამგვარი კითხვები საზოგადოთ მისთვის, რომ ხმაურობენ სრულებით საქმეზე დაუფიქრებლად. ამიტომ ამგვარი წესი კითხვა-მიგებისა ორპირ-ლესულ მახვილს შეადგენს გამოუცდელი მასწავლებლის ხელში.

საზოგადოთ კითხვების მიცემა ყველა მოწაფეთათვის განსაკუთრებით იმიტომ არის სასარგებლო, რომ მასწავლებელმა გაასწორებინოს მოწაფეებს ის შეცდომები, რომელთაც ისინი დაუშვებენ პასუხის მიცემის დროს. თუ კლასი წესიერებას და ყურადღებას არის დაჩვეული, ყოველთვის მოიძებნება ისეთი მოსწავლე, რომელიც განაცხადებს შეცდომის გასწორების სურვილს, თუ ამნაც ცუდათ გაასწორა, მაშინ მასწავლებელს ეძლევა შემთხვევა ცუდათ შეგნებული სამოსწავლო მასალა ხელახლად განუმარტოს მოსწავლეთ. ამნაირად თუ შეცდომებს ყოველთვის მოწაფეები ასწორებენ — მასწავლებელს ცოტა დასჭირდება თავის მხრით მიუმატოს რამე — ყმაწვილებს ჩვეულებად გადაექცევათ ძალდატანებითი ყურადღება, გულის ყურით — ყურადღებით მოსმენა ყველა მისი, რაც კლასში კეთდება, ეძლევა შემთხვევა მასწავლებელს შეამოწმოს, კარგათ შეითვისეს ყველა მოწაფეებმა ახსნილი განაკვეთი — თუ არა, ჩნდება შემთხვევა, რომ მასწავლებელმა თავის დროზე მოახდინოს შესაფერისი განმარტება და გასწორება შეცდომებისა და ამასთანავე ეძლევა შემთხვევა მასწავლებელს თანასწორად გაუძღვეს მთელს კლასს. —

აგრეთვე არ უნდა იყოს ყურადღებას მოკლებული ის გარემოებაც, თუ როგორ კითხვებს უნდა აძლევდეს მასწავლებელი მოწაფეებს. ხშირად მასწავლებლის უხერხულ კითხვებზედ არის დამოკიდებული ცუდი პასუხი მოსწავლისა. ყველა საკითხები, მიმართული მოწაფეთადმი, უნდა იყოს მარტივი, განსაზღვრული და ცხადი. მარტივი, ე. ი. არ უნდა შესდგებოდეს ორი ანუ ბევრი კითხვებისაგან, რომლებიც ამდენსავე პასუხს ითხოვენ. განსაზღვრული ე. ი. ამგვარ საკითხს უნდა ჰქონდეს ისეთი შინაარსი და გამოხატული იყოს ისეთი ფორმით, რომ მაზედ შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთი სწორი პასუხის მიგება. ცხადი — ე. ი. არ უნდა იყოს გაუგებარი — რასაც მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეს.

არ არის კარგი პასუხის გაჯანჯლება, დაგვიანება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ ააჩქაროთ ბავშვი. ყოველ შემთხვევაში სწორი და რიგიანი პასუხისათვის საჭიროა მიეცეს ბავშვს ცოტა დრო მოსაფიქრებლად და საკითხის არსებითი მხრის შესაგნებლად. ზოგი მასწავლებელი კითხვების მიცემის დროს ძალიან ჩქარობს, არ აცლის ბავშვს მოფიქრებას, ზოგჯერ გააღებს ბავშვი პირს პასუხის სათქმელად თუ არა, მასწავლებელი თვითონ მიახლის პასუხს — ამგვარი სწავლება ყოვლად უნაყოფოა. იმისთანა სწავლა შერჩებათ ცხოვრებაში მოწაფეებს, რაც თვით მოქმედებით არის შეძენილი და არა პირდაპირ გადაცემული. ყველა კითხვების შემდეგ, რასაკვირველია, სრული პასუხი უნდა ითხოვებოდეს მოწაფეთაგან. სკოლაში საჭიროა, რომ მასწავლებელი თვითონ ცოტას ლაპარაკობდეს. მოსწავლეებს კი უფრო ბევრს ალაპარაკებდეს. ლაპარაკი ზომიერი, ხმამაღალი და გარკვეული უნდა იყოს და აგრეთვე მოწაფეთაგანაც უნდა მოითხოვებოდეს — გარკვეული, ცხადი — შეგნებული და ზომიერად ხმა მაღალი პასუხი. კითხვები უნდა ბავშვის გონებით გახსნილობას და ცოდნას შეეფარდოს, როგორც შინაარსით, ისე გარეგან ფორმითაც, კითხვები უნდა იყოს ძალისებრივი, არც ძალიან ძნელი და არც ძალიან ადვილი მოწაფეთათვის — ძნელ კითხვებზე მასწავლებელი პასუხს ვერ

მიიღებს მოწაფეებისაგან და ძალიან აღვილი კითხვები კი, რომელიც დაფიქრებასაც არ ითხოვს, ასუსტებს ბავშვის გულის ყურს, ყურადღებას, უკარგავს მათ თვითმოქმედებითი ძალის აღორძინებას. ურიგო კითხვებით შეიძლება შევიწროვდეს ბავშვის აზროვნობა, დაიკარგოს მისი გონებრივი თვითმოქმედება. ცუდ კითხვებს ისე შეუძლია დაბნიოს ბავშვები, რომ ხშირად უბრალო მოფიქრება-მოსაზრებაზედაც უარს ჰყოფენ. ძნელია ანუსხვა ყველა იმ მოთხოვნილებათა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სწავლების დროს კითხვები, მაგრამ ზემო მოყვანილი საზოგადო წესები კითხვების შესახებ რიგიანად სწავლებისათვის უსათუოდ კარგად შეგნებული და დაცული უნდა იყოს მასწავლებლის მიერ.

სამუშაოები კლასში უნდა წარმოებდეს ყველა მოწაფეთათვის. მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, რომ მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ ყველა მოწაფეებმა და სასწავლო საგნებიდამ შეიძინონ საუკეთესო ცნობები, გონებითი სიმდიდრე, რომელიც აგრეთვე დამოკიდებულია სწავლების ფორმაზე. საზოგადოდ პირველ დაწყებით სკოლებში ყველა ფორმას სწავლებისას სჭარბობს კითხვა-მიგებითი — ანუ კატეხიზური და ევრისტიული ანუ სოკრატიული ფორმა სწავლებისა. შინაგანი მხრით ე. ი. თუ როგორ მონაწილეობას იღებენ ბავშვები სწავლის, ცნობების შეძენაში ამგვარად სწავლების დროს, ამ ორ ფორმას სწავლებისას აქვს შემდეგი მნიშვნელობა. კითხვა-მიგებითი ფორმა სწავლებისა იმაში მდგომარეობს, რომ მასწავლებელი ზეპირად, თავის სიტყვით, ან წაკითხვით გადასცემს მოწაფეებს შინაარსს რომელიმე სასწავლო მასალისას, შემდეგ ამ შინაარს დაჰყოფს კითხვებად, რომლის შემწეობით გამოკითხავს მოწაფეების წაკითხულის თუ ზეპირად ნათქვამის შინაარს და გაიგებს, თუ რამდენად კარგად შეითვისეს მოწაფეებმა გადაცემული მასალის შინაარსი. ამ ფორმით ყველაზე მომეტებულად ისწავლება საღმრთო სჯული. მასწავლებელი გარკვევით და მკაფიოდ უამბობს მოწაფეებს შინაარს რომელიმე მოთხრობისას საღმრთო ისტორიიდგან მოკლედ, კითხვების საშუალებით გამოითხოვს მოწაფეებისაგან ნათქვამის შინაარსს, შემდეგ კი დალაგებით და აზრ დაწყობილად ათქმევინებს. კატეხიზურ ანუ კითხვა-მიგებითი ფორმას სწავლებისას განსაკუთრებითი გონებითი გახსნილი მნიშვნელობა არ აქვს, ამიტომ რომ ამ ფორმით სწავლების დროს გონებითი თვითმოქმედება ბავშვისა ძალიან მცირედ აღიძვრის. მეორე ევრისტიული ანუ სოკრატიულად სწავლებით მოწაფეები თვითონ, მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც თავის კითხვებით უძღვება და ხელმძღვანელობას უწევს ბავშვის სულიერ მოქმედებას, საკუთარის გონება ძალდატანებით გაიცნობენ და შეიგნებენ იმ ცნობებს, რომელიც შეადგენს სასწავლო საგნის ნაწილს. ეს ფორმა სწავლებისა აღძრავს თვით მოქმედებას მოწაფეებში, იწვევს მოქმედებისადმი მათ სულიერ ძალას, რომელზედაც აქვს გახსნელი და განმაძლიერებელი გავლენა; — ეს აჩვევს ბავშვს აზროვნობას და თვითმოქმედებით შესწავლას საგნებისას. ცნობილია, რომ ძველი ფილოსოფოსი სოკრატი, რომლის სახელით დაერქვა ხსენებულს სწავლების ფორმას სოკრატიული, არაოდეს თავის მსმენელებს მზამზარეულს სწავლას, შეხედულობას არ გადაცემდა. სოკრატი კითხვების შუამავლობით მსმენელებს იქამდის მიიყვანდა, რომ თვით მოქმედებით შეემუშავნათ საჭირო შეხედულობა რომელიმე საგანზე, მოვლენებაზე. სოკრატმა ერთხელ თავის სულელ მონას გააკეთებინა ერთი უუძნელესი მატემატიკური გამოცანაო, ეკითხულობთ სოკრატზე. თვითონ სოკრატი ხშირად აღვიარებდა, რომ მისი ღვაწლი, შრომა იმაში მდგომარეობდა, რომ ჰშველოდა სხვებს იდეების, დედა აზრების დაბადება-განხორციელებაში. —

რომ უფრო ნათლად წარმოეიდგინოთ რიგიანი კითხვების და ყველა მოსწავლის სამუშაოში მონაწილეობის მიღების საჭიროება. აღძრა მთელი კლასის მონაწილეობისა მეცადინეობაში, აქ ჩვენ მივმართავთ გერმანელ საუკეთესო პედაგოგების აზრს ამ საგანზე. იმათი აზრით — მხოლოდ ყველა მოწაფეების საკლასო სამუშაოში მონაწილეობის მიღებით შეიძლება გამაგრება და გაწრთვნა ბავშვის გულისყურისა, ყურადღებისა, ამაში შეუძლია ყველას დარწმუნდეს თავისი გამოცდილებით, თუმც არ მიიღებენ მხედველობაში ზოგჯერ მომატყუარ გარეგნობას. საკლასო სამუშაოში ყველა მოწაფეების მიერ მონაწილეობის მიღების დროს — მოწაფის ყურადღება უფრო ძალდატანებულია, ამ დროს ყველა მოწაფე, რადგანაც არაა დარწმუნებული, რომ მასწავლებელი მე არ მკითხავსო, დაფიქრებულია, აზროვნობს და ამზადებს პასუხს ყველა კითხვებზე, მოთხოვნილების

თანახმად, სხვა მოწაფეებთან ერთად. ყურადღების ხშირ ვარჯიშობა აჩვევს ბავშვს მოსწრებულ სიტყვა-პასუხს.—რადგანაც მოწაფეებისათვის სულ ერთი არ არის, კითხვებზე კარგათ უგებენ მასწავლებელს, თუ ცუდათ, ამისათვის საკლასო მეცადინეობაში მონაწილეობა—შველის ამასთანავე ბავშვის შეგულიანებას, კლას გარეშეც გაკვეთილების რიგიანად მომზადებას—ე. ი. შეკავებს და გააძლიერებს ბავშვებში ბეჯითობას, გულსმოდგინებას, მუყაითობას. რადგანაც მოსწავლის რიგიანი პასუხი გამოიწვევს მასში კმაყოფილების გრძნობას და ყველა მოწაფე მოხარულია, თუ მათ მოუხდათ თავის მუყაითობის ნაყოფის გამოჩენა მასწავლებელთან; ამიტომ მეცადინეობაში მონაწილეობის მიღება არა თუ მარტო ბავშვის ბეჯითობას შველის, არამედ უძლიერებს სწავლის ხალისსაც, რომელიც ბეჯითობას მოთხოვნილებათა ჰხდის. დიდი ხნის ვარჯიშობით ბავშვები შეიძენენ კარგ ჩვეულებათა, დახელოვნებას, თავისუფლად მსჯელობას და სწრაფად რიგიან პასუხის მიცემას. ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია, რომ ბავშვი უფრო ბევრს შეიძენს, უფრო დახელოვნდება სიტყვა-პასუხში, გონება გამჭრიახობაში—თუ მას მოუხდება ოცდა-ათ ჯერ პასუხის მიცემა ყოველ წუთში მიცემულ კითხვებზე, ვიდრე იმავე პასუხს მისცემდა თხუთმეტ-თხუთმეტ წუთის შემდეგ მიცემულ კითხვებზე. როდესაც სწავლება ოცხლად მიდის, მაშინ მასწავლებელიც მოხარულია. მასწავლებელმა წინ ნაბიჯი არასოდეს არ უნდა წადგას, თუ დარწმუნებული არაა, რომ ყველაფერი გადაცემული მოწაფეებს კარგად ესმით. ამაში დარწმუნება შეიძლება იმ საშუალებით, თუ ყველა მოწ-ფეები მონაწილეობას ღებენ სამუშაოში.

ერთი საუკეთესო, აუცილებელი და მეტად საჭირო რჩევა პირველ დამწყე მასწავლებლისათვის ის არის, რომ არაოდეს მოუმზადებელი კლასში არ უნდა წავიდეს. ტყუილი ფიქრია,—ვითომ პირველ დაწყებით სკოლებში გაკვეთილები ისეთი ადვილია, რომ იმათ შესახებ სახლში დროს დაკარგვა არ ღირდეს, ყველა მასწავლებელს ადვილად შეძლოს მოაგვაროს რამე კლასში. რომ ყურადღებით დავუკვირდეთ საქმეს—ყველა გაკვეთილებში შეიძლება ვიპოვოთ ისეთი საჭირო რამ, რომელიც თხოულობს მოფიქრებულს მოქმედებას, სერიოზულ შეგნებას საგნისას და წინდაწინ მომზადებას. ხედავს თუ არა წარუმართებლობას—მასწავლებლები ხშირად ამის მიზეზად მოწაფეებს ასახელებენ, მაშინ როდესაც წარუმართებლობა საქმისა ხშირად იქიდამ წარმოსდგება, რომ მასწავლებელი თვითონ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, შედის კლასში და მეცადინობს ისე, როგორც შეხვდება, ალალ-ბედზედ. ამ უკანასკნელ დროში აუცილებელ საჭიროებად არის აღიარებული, რომ პირველ დაწყებით სკოლებში ყველა საგნები ერთად უნდა წარმოადგენდეს ერთ შეერთებულს მთელს, ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია წინდაწინვე მოემზადოს გაკვეთილებისათვის, რომ უკანასკნელი არ იყოს ნაწყვეტ-ნაწყვეტი, შეუერთებელი, შემთხვევითი და სწავლა-აღმზრდელობის მნიშვნელობას მოკლებული. საჭიროა და აუცილებელი საჭიროც, რომ ყველა გაკვეთილების დაწყებამდის მასწავლებელმა წარმოიდგინოს შეცულობა გაკვეთილისა—ავრეთვე წესი და რიგი სწავლება-გადაცემისა, გამოიკვლიოს ის კავშირი, რომლითაც უნდა შეერთდეს ახალი გაკვეთილი წინა გაკვეთილთან და სხ. საზოგადოდ ყველა ადვილი გაკვეთილისთვისაც საჭიროა მასწავლებლის მხრით მომზადება. წინდაწინ გადახედვა, შეგნება, რომ გაკვეთილისათვის დანიშნული დრო არ დაიკარგოს უსარგებლოდ.

წინა გაკვეთილების უკანასთან დაკავშირების დროს მასწავლებელი იმაზედაც უნდა ზრუნავდეს, რომ ყველა გაკვეთილი წარმოადგენდეს—რაღაც მთელს, დასრულებულს, რომ მოწაფეებს ადვილად შეეძლოს მათი განხილვა გაკვეთილების ბოლოს. კარგია მასწავლებელი თუ ამგვარ წესს შემოიღებს, რომ ყოველ დღიურ გაკვეთილების შემდეგ, კითხოს მოწაფეებს—რა გაიგეს დღეს? რა ცოდნა შეიძინეს და რა მოითხოვება მათგან ხვალისათვის. არ უნდა დავიიწყოთ, რომ ხშირად სკოლებში და სახალხო სკოლებში თითქმის მუდამ გაკვეთილები ისწავლება კლასში. ნასწავლის მტკიცე და შეგნებით შეთვისებისათვის საჭიროა იმათი განხილვა მთლად—ეს საქმე ძნელი არ არის, მაგრამ ბევრი მასწავლებლისაგან უყურადღებოდ არის დატოვებული.

ლ. ბოტკვაძე

პედაგოგიკის ისტორიიდან

(გაგრძელება *)

არისტოტელი.

არისტოტელი დაიბადა 385 წელსა ქრისტეს დაბადებამდის. ის ჩვიდმეტი წლისა იყო, როდესაც დაიწყო პლატონთან სწავლა. არისტოტელი პლატონთან სწავლობდა 20 წელსა. 22 წლის არისტოტელი მიწვეულ იქმნა აღსაზრდელად 13 წლის ალექსანდრე მაკედონელისა. არისტოტელი არის შესანიშნავი გენიოსი მთელს კაცობრიობისა. ის ითვლება პაპად რეალურის, (ბუნების კანონების თანახმა) სწავლა-მოძღვრებისა (მამად ბეკონ ვერულამელი ითვლება). არისტოტელმა პირველად მიაქცია ყურადღება დაკვირვებას, ცდას, სცნო საჭიროდ ინდუქტიური მეთოდი, შემდეგში ბეკონ ვერულამელისგან მეცნიერულად დასაბუთებული. მან საჭიროდ სცნო ანალიზი, გაჩხრეკა კერძო მოვლენისა: ის ყველაფერს კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებდა და მხოლოდ გონიერი და საფუძვლიანის გამოკვლევის შემდეგ გამოჰყავდა ზოგადი დასკვნა. ამის მიხედვით არისტოტელის სწავლას ბავშვთა აღზრდის შესახებ აქვს პრაქტიკული ხასიათი. არისტოტელი მაღლა იდგა პლატონზედ სიგანით და სიღრმით თავის განათლებისა. არისტოტელმა თავის შორის გამოხატა კულტურა მთელის კაცობრიობისა ქრისტეს მოსვლამდის,—მისი სწავლა-მოძღვრება ითვლება უკანასკნელს სიტყვად ძველის კაცობრიობის კულტურისა.

კაცის მიზანი, არისტოტელის აზრით, არის ბედნიერება, დამყარებული კეთილ-სათნოებაზედ. როგორც კერძო ადამიანი, ისე მთელი სახელმწიფო უნდა ელტოდეს ერთს და იმავე მიზანს ე. ი. კეთილ-სათნოებას, და ამ კეთილ-სათნოებას კაცი შეიძენს აღზრდის შემწეობით. მთავრობამ უნდა მიაქციოს ყურადღება ბავშვთა აღზრდას, ვინაიდგან ცუდი აღზრდა მოზარდი თაობისა ძლიერ მავნებელია სამშობლოს კეთილ-დღეობისთვის. სახელმწიფო ვალდებულია განსაზღვროს კანონით—ასაკი ქორწინებით შესაულველელთა. სნეული ბავშვები უნდა გადაგდებულ იქმნენ, როგორც არ-საიმედონი მომავლისთვის. არისტოტელი ურჩევს სახელმწიფოს ისე მოექცეს სნეულს ახალ შობილ ბავშვებს, როგორც სპარტაში ექცეოდნენ. არისტოტელს, სჩანს, ისე სურდა მოეწყო კაცობრიობის ცხოვრება, რომ დედამიწაზედ მხოლოდ ჯანმრთელი პირები ყოფილიყვნენ, მაგრამ თვით მისს რჩევას აზის ბეჭედი საზიზღარი ბარბაროსობისა. ძველმა დრომ არ იცოდა სიყვარული ბედით ცაჩაგრულთადმი; მაშინ მეფობდა მცნება ძალ-მომრეობისა და სხვის ჩაგვრისა. ძველს დროში ყმები, ქალები და სნეული ბავშვები არ იყვნენ უზრუნველ-ყოფილნი კანონის მიერ. მხოლოდ მაცხოვარმა, რომელიც იტანჯა ბედით დაჩაგრული, ბოროტის მონად გამხდარი ხალხის სახსნელად, ამცნო ქვეყნიერებას ქეთილ-შობილური სწავლა უანგარო სიყვარულისა, წმიდა ძმობისა და სანატრელის ერთობისა. სახარების ცოცხალმა მოძღვრებამ თვის ფრთეთ ქვეშ შეიფარა ბედით ჩაგრული ყმები და სუსტი ბავშვები.

საჭმელი ბავშვისა პირველ ხანად უნდა იყოს რძე ნარევი, უნდა შეაჩვიონ ის სიცივის და შიმშილის ატანას, უამბონ არაკები და გააშორონ მონებისგან, რომელთაც შეუძლიათ ცუდი ჩვეულებანი შეათვისებინონ ბავშვის ბუნებას. ამბები, რომელთაც ბავშვს ეუბნებიან, არ უნდა იყვნენ დამაღონებელნი და ცუდის შინაარსისანი. მშობლებიც ბავშვის წინაშე უნდა იქცეოდნენ თანახმად ზნეობითის მოთხოვნილებისა. ბავშვის ბუნებას უყვარს მიბაძვა და ამიტომ მას შეუძლია ადვილად შეითვისოს მოზრდილთა საქციელი, მათი სიტყვა-პასუხი. არისტოტელის აზრს ამ შემთხვევაში ეთანხმება ქართული ბრძნული ანდაზები: «დედის ნათქვამი პატარას გაგონილით» და «მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახე». ბავშვს არ უნდა აჩვენონ ზნეობის გამრყვნელი სურათები და არ უნდა წაუკითხონ, ან უამბონ ასეთივე ამბები, რომელთ შეუძლიათ გააღუხეირონ მისი სულიერი ბუნება. ისე უნდა აღვზარდოთ ბავშვი—ამბობს არისტოტელი—რომ მას სათნოება აძლევდეს მუდამ ნამდვილს სიხარულს და ჭეშმარიტს სიტკბოებას და ბოროტება კი ღრმად ანაღვლებდეს სწავ-

*) იხ. «მწყემსი»-ს მე-9 №, 1893 წ.

ლების დროს, უნდა მიეიღოთ სახეში სქესებრივი განსხვავებაც ბავშვებისა. ქალი—არისტოტელის აზრით—სუსტია კაცზედ. ქალს უნდა ასწავლონ ყოველივე ის, რაც შველის მისს ლილამაზეს, მისს გარეგანს კეთილშობილებას, ზომიერებას. ქალის დანიშნულება, არისტოტელის აზრით, არის იყოს კაცის ხორციელ ენებათა დასაკმაყოფილებელს საგნად და შვილთა შობით განამრავლოს ხალხის რიცხვი.

არისტოტელი და მისი მასწავლებელი პლატონი, როგორც გაკვრით შევნიშნეთ ზემოთ, იყვნენ შვილნი თავის დროისა და იმიტომ აქვსთ ასეთი შეხედულება ქალის ბუნებაზედ და მისს დანიშნულებაზედ.

შვიდი წლიდგან იწყება სწავლება შეერთებული გიმნასტიკასთან — თხუთმეტს წლამდის. 15-დგან 18-ს წლამდის მოწაფეს ასწავლიან მუზიკას და სხვა სასწავლო საგნებს. თერამეტიდგან ოც-და-ერთ წლამდის მხოლოდ გიმნასტიკას უნდა ასწავლიდნენ და აჩვევდნენ ზომიერებას სასმელ-საჭმელში. ზომიერებას შეუძლია დააცხროს ახალთაობის ბუნებაში ენებათა მღელვარებანი. არისტოტელი ურჩევს მასწავლებლებს ასწავლონ მოზარდს თაობას ისტორია და ფილოსოფია,—ეს ორი საგანი იმის აზრით კაცს აძლევს საფუძვლიანს განათლებას და ნამდვილს ზნეობითს განვითარებას.

პირველი და უკანასკნელი მიზანი აღზრდისა უნდა იყოს **ზნეობითი განვითარება**. ზნეობით განვითარებას მოკლებულს, თუნდაც მრავალ ცოდნის მქონებელს კაცს შეუძლია ჰქონდეს მხეცური ხასიათი და დიდათ მავნებელიც იყოს საზოგადოებისთვის. იმას აქვს ჭკუა და ცოდნა, რომელთაც ის, მოკლებული კეთილ-ზნეობას, ხმარობს მოძმეთა საზარალოდ და თავის პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად. აღზრდამ უნდა შეაყვაროს კაცს გონიერი და მუდმივი მოქმედება, რომელიც არ ეწინააღმდეგება ბუნებასა. აღზრდამ უნდა დაამსგავსოს კაცი ღვთაებას. არისტოტელიც დიდს ყურადღებას აქცევს სირცხვილ-ნამუსიანობის გრძნობის განვითარებას, რომელსაც შეუძლია ახალთაობას ააშოროს ენებათა ადრე ძღელვარება, რაც ფრიად მავნებელია ძისი გონების, ზნეობის და სხეულის განვითარებისთვის.

აღმზრდელმა—ამბობს არისტოტელი—ახალთაობას უნდა განუვითაროს მაღალი გრძნობა ჭეშმარიტის მეგობრობისა. ჭეშმარიტი მეგობარი—ეს არის, რომელსაც მიზნად აქვს მოუტანოს თავის მეგობარს ნამდვილი სარგებლობა. არისტოტელის აზრი ჭეშმარიტი მეგობრობის შესახებ ფრიად მოკლედ და ხელოვნურად აქვს გამოთქმული რუსთაველს შემდეგს სიტყვებში:

«ხამს მოყვარე მოყვრისათვის
თავი ჭირსა არ დ'მრიდად;
ბული მისცეს ბულისათვის
სიყვარული გზად და ხიდად».

ჭეშმარიტს მეგობარს, არისტოტელის აზრით, უნდა ავ-წყდებოდეს თავისი საკუთარი სარგებლობა და მუდამ უნდა ჰფიქრობდეს თავის მეგობარს მტლედ დაეღოს, ზვარაკად შეეწიროს. ასეთი მეგობრობის მაგალითს წარმოგვიდგენს რუსთველის გმირი ავთანდილი, რომელიც თავ-გაწ-რულად ემსახურება თავის მეგობარს ტარიელს ჭირსა და ლხინის დროსა. ასეთივე მეგობრობის გრძნობა უნდა განუვითაროს აღმზრდელმა ახალთაობას.

ილ. ფერაძე.

ფუფუნება

(გაგრძელება *)

ათინას მაღალი მდგომარეობის კაცებიც ცოტას ჯერდებოდენ, როგორც დღეს ნეაპოლელები, ანუ ჩვენი მთიულები, თვითეულს მათგანს დამისებოდა ჩვენებური ანდაზა: ყველი, პური, კაი გული. ის საარაკო სადილები რომ გაგვიგონია ზოგიერთის იმპერატორებისა, ეს იყო მათი კერძო დამთხვეულობა, ნაყოფი მათის ყოვლად შემძლებელობისა. არავითარი იმათი მსგავსი არ ნახულა არც საბერძნეთში და არც რომში ჩვეულებრივ ცხოვრებაში. ძველ კაცს, რაკი ასეთი ცოტა მოთხოვნილებანი ქონდა, ადვილათ შეეძლო მოენდომებინა მთელი თავისი თავისუფალი დრო თვისთ ნიჭიერებათა განვითარებისთვის, ესტეტიკურ სიამოვნეთა ანუ სახელმწიფოზე ზრუნვისათვის, გიმნასტიკისა, ფილოსოფიისა, ლიტერატურისა, თეატრისა და პოლიტიკისათვის.

---

*) იხ. «მწყემსი» № 0, 1893 წ.

ახლანდელის დროის ფუფუნება და ათასი ხუშტური მოწყობ-მორთულობისა ორრიგათ დამცარველია. ერთი რომ ამ მიქარვების საყიდელის ფულის საშოვნელათ ბევრი დრო გვერთმევა და შემდეგ დანარჩენი მოცალეობა იმათ ხარჯვა-მოხმარებას უნდება.

ამ სახით კაცი მთლათ ერთიან ჩანთქმულია ნივთიერის მოხვეჭის ცხროლაშა და დრო აღარ ურჩება გონებისა და გულის ცხოვრებისათვის. აბა, ერთი შეხედეთ იმ სოვდაგარს, იმ ფინანსისტსა, რომელიც სთელის თავისს ფულებს ათასობით და მილიონობით; მისს საქმეებს, მისს ანგარიშებს, მისს კლიენტებს, მისს მეკამპანიებს უნდებათ მთელი მისი დღე დილით საღამომდე და თვითონ საღამოც კი; სიამოვნებაში, შეკცევაში რაშიმე რომ იყოს, რასაც იგი დაეძებს და რაც მას შორს გაურბის, იგი კიდევ ფიქრობს იმ აპერაციებზე, იმ ფულის ტრიალზე, რომელსაც შეუძლია კიდევ შემატოს მისს სიმდიდრეს, რასაც რამდენი ხანი გადუჭარბებია მისი მოთხოვნილებანი, თუნდა საცნებონიც. იგი თითქო იხუთება თავისის სიმდიდრის ამრავ ქვეშ. შესაძლოა, რომ ამისთანა კაცი იყოს სასარგებლო ბორბალი საერთო წარმოების საქმეში; მაგრამ დგას კი იგი სრულობის და ბედნიერობისადმი მიმყვან გზაზე? იყვენ და არიან ევროპაში და ამერიკაში ისეთი მემილიონე და მემილიარდეებიც, მაგალ. ასტორი, ვანდერბილდი, სტიუარტი, როდშილდი და სხ. რომელთაც, მეორეთ მოსელამდე რომ ეცოცხლოთ, მაინც ეყოფოდათ სარჩო-საბადებელი. მაგრამ სულ მუდამ გაუწყვეტელათ ფათურობდენ, სიცოცხლეს საჭოარაოდ იხდიდენ ცხოვრების საშუალობის მოსახვეჭათ. აი მიზნის საშუალებად გადაქცევა.

კაცს თუ მოთხოვნილებანი არ აქვს, მას საზრუნაეიც არ აქვს. იგი მხიარულია ტოროლასავით, ან ალიონზე მომღერელ ღარიბ მეწაღესავით. მეცნიერების და ტეხნიკის წყალობით ევროპელები და ამერიკელები იმდენ სიმდიდრეს აწარმოებენ, რომ როცა ეს სტატიკურათ ციფრებით იზომება, განცეიფრებაში მოდიხარ; მაინც კიდევ ჩვენი საუკუნე განუწყვეტელ ზრუნვაშია, გაწამაწიაში და დაღრეჯილობაში. ვინლა იცინის და ვინლა მხიარულობს ღღეს ისე გულიანათ, როგორც ეს ადრევე ყოფილა? ყველგან მხოლოდ ჰიფხვა, ლოთობა, გულგატეხილობა, ბოღმა და საგრძნობელთ აშლილობა.

აი როგორ გვიხატავს ამ საჭირბოროტო საგანს შესანიშნავი მქადაგებელი ბოსსიუე: «სხეული აქვედავებს ჩვენის აზრების სიმაღლეს და გვიქაჩავებს დედამიწისკენ, ჩვენ, რომელნიც ცისაკენ უნდა აღიწეოდეთ. აი სად უნდა მიისწრაფდეს ჩვენის ძალ-ღონის თავგამწეობა. რათ აქცევთ თქვენს საჭიროებას მედიდურობად? თქვენ გინდათ სახლი ჰაერის სიმაფრისგან თავის დასაცველათ: ერთი სისუსტე. თქვენ გინდათ საჭმელ-სასმელი ყოველ წამ ხარჯულ თქვენთა ძალთა აღსადგინებლად: მეორე სისუსტე. თქვენ გესაჭიროებათ ლოგინი დაღალულობის დროს დასასვენებლათ და თქვენ მაზედ ეძლევით ძილს, რომელიც ახშობს და აბურანებს თქვენს განმსჯელობას: ესეც კიდე ახალი სავგლახო სისუსტე. აი ყველა ეს მოწმეები, ყველა ეს თქვენის სისუსტის სამხილებელნი თქვენ გამოგიფენიათ თქვენის პატივმოყვარობისთვის, თითქო გინდათო სძლიოთ უძლურება, რაიცა გარს გასე

რის მხრით იგი შემცდარი იყო, რათგან უფრო საკვიამოვნოა და ნაკლები ძალის ხმარება უნდა ექმნეთ წყლის სმას, ვიდრე პაშვით; მაგრამ ის გრძნობა, რომელიც ფილოსოფოსს ახელმძღვანებდა, საპატიოა. იგი უფრთხილდებოდა: რომ ასე არ შეეჩვიო და ალარ მექმნეს, ვაი თუ სინიდისი გაპაყიდოსო.

ადამიანი ისეა შექმნილი, რომ შრომა და გარჯა არის მიუცილებელი პირობა მისის სხეულებრივის და ზნეობითის სიმრთელისათვის, მაგრამ ეს შრომა უნდა იყოს განაწილებული თანაბრათ, არ უნდა იყოს ზოგთათვის მეტად ხანგრძლიეი და დამდუმებულ-დამჩლუნგავი. თმობა იქამდე არ უნდა მივიდეს, რომ ხელი შეუწყოს ზნეთა გატლანქებას და გონების გაბრჯგუებას; არც უნდა გამოითქმოდეს მოთმობა სადიდებლად ტალახიან ცხოერებისა, როგორც ერთის რამ წმიდა საქმისა; არც თავისს დასახჩრებაში, როგორც შვრებიან ფაკირები და ასკეტები, მაგრამ ნუ შეშინდებით: ამ მხრისკენ არ მიიპართება ჩვენი საუკუნე. ყოველიეე გაწბინდაკებულ მგრძნობიარობას მიეს წრაფის. ამას უნდა შებრძოლება. სამაგალითოკაცი იყო ამ შემთხვევაში ფილოსოფოსი სოკრატი. მან ისე გამოაფოლადა თავისი ჭახმაგი სხეული, რომ მას ვერ აწყენდა ვერც სიცხე და ვერც სიცივე და დაღალულობას იტანდა ყველა გამოწთობილ მოლაშქრეებზე უფრო; ამიტომაც იყო, რომ მოთხოვნილებათა აღვირახსნამ იგი მოაცალა ფილოსოფოსობისა და სიმართლისთვის. ან ავიღოთ ძოციქული პაელე, რომელმაც ბეშმარიტების გულისთვის დაითმინა ყოველი ჯაჯა, საპყრობილე, როზგი, გემოთმუსრვა, სილარიე და «ათასი სიკვდილი". მოციქულისებური სულნი რაინიყებურ სხეულებში, აი სანატრო, რომელსაც უნდა გაცვიფრებით უყურებდეს ჩვენი დრო და ბაძეკდეს ჩვენი ყმაწვილკაცობა, ნაცვლად იმისა რომ ეჯრებოდეს სათუოობას, სიმთერალეს, ხორცთმეძაობას, ზარმაცობას, მოუთმენელობას, გულდიდობას, რანიც ასე უაღდურათ ასუსტებენ ჩვენს ორგანოებს, ამაუყებენ გრძოობებს და აყირეებენ ცხოერებას.

სალამობოთ, სათრეველად
ერთი სიტყვა მეტ მსჯდებისა.

Ш. რუსთაველი.

ყველას თვის-თვისი აზრი აქვს,
ბკუა და გამოცდილება;
მე ჩემსას ვამბობ, სხვა თვისას,
აზრებში მოგვდის ცვლილება.

მედგრათ შევებმით ერთმანეთს,
ვიცით ურთ-ერთის წბილობა,
თუმცა ჩირადაც არა ღირს
ხანდისხან ჩვენი ცილობა.
მაგრამ ვაატა ოდესმე
მიატოვს ვაატობასა?
ხატის და ჯვარის შესახებ
ის დასთმობს გამათობასა?
ამას არ იქს და ოდესმე
გამოილაშქრებს კვლავვადა,
წყალწყალებულსა ფაქტებსა
ჩამოთვლის გულსაგლავადა:
„ნახატიანი ანოდეს
არ თქმულა, არც ითქმებაო,
მე თუ ჩემს დღეში არ მითქვამს,
ქართული რათ იქნებაო"?!
«აკაკი რომ სწერს რაღაცებს,
არ დაუჯერეთ მაგასო,
ფულებს თხოულობს ეტყობა,
მივხვდი მე მაგის საგანსო».

* * *

რისთვის ვაატობ უმიზნოთ,
მამიშენისა ლხენასა!
ნომ იცი, კატა ვერ შესძლებს
ლომისა შემობღვერასა?
შენ ახლა გხედავთ, აკაკი
გაცნობილი გვყავს ძველია,
განა რაც იმან დასწერა,
იმის გაგება ძნელია?!..
მიკვირს! რას სწუხხარ, რამ დაგწვა,
რათ გეკიდება ალები.
ნუ თქერობ თაღლითობითა
მკითხველს აუბა თვალები.
შორს ჩვენგან მსგავსი კრიტიკა,
მსგავსი ცბიერის, ვერაგის;
არა გთხოვთ, იგი გაგვაცნოთ,
რადგან თვით ვიცნობთ აკაკის..
ჩლუნგ პოლემიკას გვაშორეთ,
გემუდარებით, გთხოვთ ძმურად,
თუ რომ სწერთ, სწერეთ საგანზე,
სწერეთ უბრუვილოდ, კაცურად.

ბეკო გმირაძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

მისმა მაღალ ყოველად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა, მთავარ-ეპისკოპოსმა ელადიმირმა დაათვალიერა თელავის და სიღნაღის მაზრებში რამდენიმე ეკლესია და წყალდიდობას რომ არ მოეშალა, მაშინ თითქმის ყველა ეკლესიებს დაათვალიერებდა. მათ მეუფეებაზე ძლიერ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოუხდენია კახეთის არე-მარის სიმშვენიერეს. მაგრამ სოფლის ეკლესიების სილარიბეს ფრიად ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია მათ მეუფეებაზედ. ეს ადვილი წარმოსადგენია. ჩვენი სოფლების ეკლესიების სილარიბე არა მარტო რუსებს, არამედ ქალაქებში მცხოვრებთაც აკვირვებს. სოფლის მღვდლები ამ შემთხვევაში ბევრ ნაირად მართლულობენ თავს, მაგრამ ყველა ეს თავის გამართლება სიმართლეს არის მოკლებული. ჩვენი ეკლესიების სილარიბის მიზეზია უმთავრესად ჩვენივე სოფლის მღვდლების დაუდევნელობა და სიძაბუნე.

***

იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრება გადიდეა მომავალ ივნისის 25, 26 და 27 რიცხვებისათვის.

***

ოქტომბრის 8 ამა წლისა ქ. თბილისში უნდა მოხდეს სამღვდელოების კრება. ამ კრებაზე მონაწილეობა უნდა მიიღონ, თითქმის, მთელი საექსარხოსოის სამღვდელოების წარმომადგენლებმა. ის საგნები, რომლებზედაც სამღვდელოებას მსჯელობა უნდა ექნეს ამ კრებაზედ, გამოცხადებული იქნება ჩვენი გამოცემის შემდეგ №-ში.

***

ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად წერილები შემდეგ პირთაგან:

1) მღვდლის დიმიტრი ანთაძისაგან:

„მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვეთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოდ აღნიშნულ ღვთის-მოყვარე პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემ-დამო რწმუნებულ ჩალხეეთის წმ. გიორგის ეკლესიას ფულები და სხვა-და-სხვა ნივთები: გრიგოლ სარალიძემ 20 მ., რომლითაც შემკულ იქმნა სახარება და მოპოებულ ხაევრდის შავი შესამოსელი, მოსახსენებელად გარდაცვალებულის ძმისწულის არტემეანისა; ვარდი ნიკოლოზ მაჭავარიანის ასულმა 5 მ., იოსებ ი. კვირიკაშვილმა ზადიკის წიგნი, ანუსია ბუაჩიძის ასულმა ერთი ჯვარი და ქეჩა, ღირებულნი 5 მან., რაჟდენ ანთაძემ ერთი საცეცხლური, ღირებული 4 მან., მაია მარგველაშვილის ასულმა კურთხეანი, ღირებული 3 მან., ივანე ყიფიანმა განსაზავებელი 2 მან., პეტრე ხიჭაკაძის შვილებმა გიორგი, ეფრემ და ალექსიმ 3 წიგნი: სადღესასწაულო, ჟამნი და დავითნი, მათი გარდაცვალებულის ძმის სიმონის სულის მოსახსენებელად, ჩალხეეთის მცხოვრებთ გლეხებმა მოიპოვეს 15 მან. ტრაპეზის გადასაფარებელი ფარჩა ნიშნად ხოლერისაგან გარდარჩენისა წასულს წელში».

2) სოფლის მოძვის წმიდის გიორგის ეკლესიის მღვდლის პარმენ წერეთლისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოეთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის მეოხებით გულითადი მადლობა გამოუცხადო როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა შორაპნის მაზრის სოფ. მოძვში მცხოვრებთ გლეხებს: 1) იოსებ დავითის ძეს ნოზაძეს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულს სოფ. წმ. გიორგის ეკლესიას 1 კანკელი, ღირებული 10 მ. და ყოველ წლობით აღგვიოქვა 3 მანეთის სათლის შემოწირა. 2) მალხაზ ა. ნოზაძეს, როსელმაც შემოსწირა „ზადიკი» და საცეცხლური, ღირებულნი 10 მ., ყარამან გ. ნოზაძეს, რომელმაც შემოსწირა 2 დიდი შანდალი თავისივე სანთლებით, ღირებული 16 მ., ალფეზა ი. ნოზაძეს, რომელმაც შემოსწირა 1 რწყვილი ბაირალი, ღირებული 3 თუმანისა».

შინაარსი: ოფიციალური განცხადება: უმაღლესი ჯილდოები.—განჩინება უწმ. სინოდისა სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე.—

სალიტერატურო განცხადება: რა მიზეზია, რომ საქართველოს მართლ-მადიდებელ ეკლესიაში არ ყოფილან და არც არიან მწვალებლები?—წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში.—პედაგოგიური წერილები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.—პედაგოგიის ისტორიიდგან.—ფუფუნება.—ლექსი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 29 Мая 1893 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Хананoвыхъ на Нѣмецкой ул.

1893 წელსა, № 10 15—30 მაისს.

მწყემსი

ოფიციალური გაზეთი.

უმაღლესი ჯილდოები.

ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად უბოძა გორის ეპისკოპოსს **ალექსანდრეს** ძვირფასის თვლებით მოჭედილი პანაგია.

უმაღლესი უქაზით, გამოცხადებულის ამა 15 მაისს რუსეთის **საიმპერატორო** და სამეფო ორდენების კაპიტულის სახელობაზედ, უმოწყალესად ებოძა წმ. ანნას ორდენი პირველი ხარისხისა საქართველოს ექსარხოსს, მთავარ-ეპისკოპოსს **გლადიმირს** და სუხუმის ეპისკოპოსს **აგაფოდორს**.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესი მოხსენებით, თანახმად განჩინებისა უწმ. სინოდისა, 15 ამა მაისს უმოწყალესად ინება დაჯილდოება სასულიერო პირთა ქვემოდ მოხსენებული განსხვავებული ნიშნითა ეპარქიის უწყებაში სამსახურისათვის.

საქართველოს საექსარხოსოში: წმ. ელიადიმირის მესამე ხარისხს ორდენით: საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრი არქიმანდრიტი კესარი; წმ. გლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორის წევრი არქიმანდრიტი ნიკოლოზი; წმიდა ანნის მეორე ხარისხის ორდენით: შემოქმედის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ამროსი; ეკონომი თბილისის ექსარხოსის სასახლის არქიმანდრიტი ნიკონი; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სუჯუნის წმ. გიორგის ეკლესიის დეკანოზი სიმონ ელიავა; იმერეთის ეპარქიის, ქ. ქუთ. ალექსანდრე-ნევკელის საკათედრო ტაძრის დეკანოზი იოსებ კიკნაძეშვილი; წმ. ანნის 3-მე ხარისხის ორდენით: ქართლის ეპარქიის, ქალაქ თბილისის, სიონის კათედრის ტაძრის დეკანოზი გრიგორი პეტრიეევი; იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის მაზრის, სოფელ წყალტუბოს წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელი სპირიდონ ფანცხავა; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის, სოფლის სუფლიეიძეოს მღვდელი ბაკლე გოგოლაშვილი.

განჩინება უწმიდესი სინოდისა.

14—21 აპრილიდგან 1893 წ. № 879 სასულიერო პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის.

უქაზისა მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმ. და უმართებელესმა სინოდმა მოისმინა წარმოდგენებანი ეპარქიის მღვდელ-მთავრებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სასახლის სამღვდელოების გამგებლისა მთავარი რწმუნებული სასულიერო წოდების პირთა დაჯილდოებაზე სასულიერო უწყებასა შინა სამსახურისათვის. ბრძანეს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა შინა აღნიშნულნი პირნი დაჯილდოებულ იქმნენ სიისა მებრ აღნიშნულნი ჯილდოებითა, რაზედაც ეპარქიის მღვდელ-მთავრებისა და სასახლის სამღვდელოების გამგებლის სტენობლად დაიბეჭდოს ამასთანავე წარმოგზავნილი სია აღნიშნულთა პირთა ყურნალს «სეკლესიო უწყებაში».

სია სასულიერო პირთა, რომელნიც სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის დაჯილდოებულ იქმნენ უწ. სინოდისაგან **მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა** გვირგვინოსნების დღეს.

საქართველოს საექსარხოსოში: ა) დეკანოზობის ხარისხით: ალადიკავკაზის ეპარქიის, თერგის სამფლობელოისა, პიატიგორსკის ფერისცვალების სობორის მღვდელი ალექსანდრე კასიმოვი; ქართლის ეპარქიის,

დუშეთის მაზრის თორმეტ მოციქულთა სობორის მღვდელი იოანნე მრევლოვი; იმავე ეპარქიის, ქ. ერევნის, წმ. ანდრია კრიტელის კაკლესიის მღვდელი ისაკ იორდანოვი; იმავე ეპარქიის, თბილისის მაზრის, მცხეთის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი იოანნე მახათაძე; ბ) იგუმენის ხარისხით—ხაზინდარი მარტვილის პირველი კლასის მეძინების მონასტრისა, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, ბერ-მონაზონი სოფრონი; გ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ბოძებულით—ინსპექტორი თბილისის სასულიერო სემინარიის მღვდელ მონაზონი იოანნიკე; მასწავლებელი ოსეთის ანდონის ალექსანდრეს სასულიერო სასწავლებლისა, მღვდელი კოსმა ტოკაევი: ქართლის ეპარქიის, ქ. დუშეთის ნიკოლოზის ეკ. მღვდელი მიხეილ ბერძენოვი; ქართლის ეპარქიის, გორის მაზრის, ძეგვის სამების ეკ. მღვდელი ზაქარია იაევი; იმავე ეპარქიის და მაზრის, სკედურეთის წმიდის გიორგის ეკ. მღვდელი სეით თაედგირიძე; იმავე ეპარქიის, თელავის მაზრის, შიდის ეკ. მღვდელი მათე მირიანოვი; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, სენაკის მცხოვრის ეკ. მღვდელი სიმონ ქაეთარაძე; იმავე ეპარქიის, ზუგდიდის ქალაქის წმ. სამების ეკ. მღვდელი ანდრია ეახანია; კალადგაკაკის ეპარქიისა, თერგის სამოციქულოებელოსი, ნეზლობნის სტანიცის მღვდელი ანდრია კედროე-პოლიანსკი; ქართლის ეპარქიის, ქ. თბილისის აკლაზრის მრანის ეკ. მღვდელი სოლომონ შოშიევი; იმერეთის ეპარქიის, ქუთაისის მაზრის, მუსირეის ეკ. მღვდელი ლუკა თებზაძე; იმავე ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფლის გუნდეთის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი; გ) კამილავეთა—კალადგაკაკის მცხოვრის ფერისცვალების სობორის მღვდელი იოანნე ტუგარინოვი; კალადგაკაკის ეპარქიის, თერგის ოლქის, კაპტარინოდარის სტანიცის ეკ. მღვდელი კასიან გლუხაროვი; იმავე ეპარქიის და ოლქის, პროხლადის სტანიცის ეკ. მღვდელი კასიან ყუკოვი; იმერეთის ეპარქიის, ქ. ქუთაისის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ნესტორ ყუბანიევი; იმავე ეპარქიის, ქუთაისის მაზრის, დ. ხონის კაკლესიის მღვდელი კრისტი მაჭარაძე; იმავე ეპარქიის, შორაპნის მაზრის, სოფელ სარეკის ეკ. მღვდელი აბესალომ ტყემალაძე; გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ყოლის-მეისარის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი მაქსიმე ანჯაფარიძე; იმავე ეპარქიის, საჭილავო-ილორის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი იოანნე გრიგორია; იმავე ეპარქიის, ზუბის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ბართლომე იოსავა; იმავე ეპარქიის, ბუქის მცხოვრის ეკ. მღვდელი იაკობ თეალთვაძე; იმავე ეპარქიის, რიქის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი მაქსიმე ხვინგია; ქართლის ეპარქიის, ალექსანდრენეველის ბაქოს ბრიგადის მოძრავი ეკ. მღვდელი ილია ძამპაეური; იმავე ეპარქიის, თბილისის მაზრის წინწყაროს წმ. გიორგის ეკ. მღვდელი მიხეილ სეკასტიანოვი; იმავე ეპარქიის დიდი მეჯვრის-ხევის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ზაქარია გამრეკელოვი; იმავე ეპარქიის, გორის მაზრის, ატენის ღვთის-მშობლის ეკ. მღვდელი გიორგი ამბრიევი; იმავე ეპარქიის, თელავის მაზრის, კონდოლის თომას ეკ. მღვდელი გიორგი ჭელიძე; იმავე ეპარქიის და მაზრის, ოყის თომას ეკ. მღვდელი გიორგი ფარეზაშვილი; ქართლის ეპარქიის, სიღნაღის მაზრის, ბოდბის სამების ეკ. მღვდელი აბრამ ბაგაევი; ბ) უწმ. სინოდის ლოცვა-კურთხევით, ფრამოტით—სუხუმის კათედრის სობორის დეკანოზი დავით მაჭავარიანი; იმერეთის ეპარქიის, ქ. ქუთაისის კათედრის ალექსანდრე-ნეველის სობორის მთავარ-დიაკონი ილია შარაბიძე; ე) უწმიდესი სინოდის ლოცვა-კურთხევით, უფრამოტით— გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ახალდაბის მთავარ-ანგელოზის ეკ. მღვდელი ნესტორ ალშიბაია; იმავე ეპარქიის, ალავერდის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი გიორგი ბერიძე; იმავე ეპარქიის, ბამბალეთის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ ინწკრიველი; იმავე ეპარქიის, ჭალეთის წმიდის გიორგის ეკ. მღვდელი ბესარიონ ხუნდაძე; იმავე ეპარქიის, გულანის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ვასილ ჯიჯიეშვილი.